www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

# 2018

ოქტომბერი

20.11.2018

www.geostat.ge

20.11.2018

# სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში
## 2018 წლის ოქტომბერი

2018 წლის ოქტომბერში სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 1,5 პროცენტით გაიზარდა, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ინდექსი გაზრდილია 5,9 პროცენტით.

**წინა თვესთან შედარებით** ფასები 1,5 პროცენტით გაიზარდა **დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის** ჯგუფში, რომლის შესაბამისმა წვლილმა ინდექსის პროცენტული ცვლილების საერთო მაჩვენებელში 1,19 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ჯგუფში ფასების მატება დაფიქსირდა კვების პროდუქტებზე, სასმელებსა და თამბაქოს ნაწარმზე (1,9 პროცენტი), რეზინისა და პლასტმასის ნაწარმზე (4,4 პროცენტი), ასევე ქიმიური ნივთიერებების, ქიმიური პროდუქტებისა და ქიმიური ბოჭკოების ნაწარმზე (2,1 პროცენტი).

**სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციის** ჯგუფში ფასები გაიზარდა 3,3 პროცენტით, რაც მთლიანი ინდექსის ცვლილებაზე 0,21 პროცენტული პუნქტით აისახა.

**12 თვიან პერიოდში** ინდექსის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ პროდუქტებზე:

- **დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია:** ფასები გაიზარდა 5,0 პროცენტით, რამაც მთლიანი ინდექსის ზრდაზე 4,1 პროცენტული პუნქტით იმოქმედა. ფასები გაიზარდა კვების პროდუქტებზე, სასმელებსა და თამბაქოს ნაწარმზე (4,7 პროცენტი), ასევე ძირითად ლითონებზე და ლითონის მზა ნაწარმზე (8,0 პროცენტი);

- **ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი:** დაფიქსირდა ფასების 13,1 პროცენტიანი ზრდა, რაც მთლიანი ინდექსის ცვლილებაზე 1,75 პროცენტული პუნქტით აისახა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსები (წინა თვესთან და წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით) და მის ფორმირებაში მონაწილე ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები.

20.11.2018

## სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში
## 2018 წლის ოქტომბერი

| კოდი | ჯგუფები და ქვეჯგუფები | 2018 წლის სექტემბერთან | წვლილი* თვის ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში | 2017 წლის ოქტომბერთან | წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში |
|---|---|---|---|---|---|
| | **სულ** | **101.5** | **1.52** | **105.9** | **5.89** |
| **C** | **სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია** | **103.3** | **0.21** | **101.6** | **0.05** |
| CA | ქვანახშირი და ლიგნიტი; ტორფი; ნედლი ნავთობი და ბუნებრივი აირი; ურანი და თორიუმი | 105.4 | 0.03 | 119.5 | 0.12 |
| CB | ლითონის მადნები და სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების სხვა პროდუქცია | 103.0 | 0.17 | 99.5 | -0.07 |
| **D** | **დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია** | **101.5** | **1.19** | **105.0** | **4.10** |
| DA | კვების პროდუქტები, სასმელები და თამბაქოს ნაწარმი | 101.9 | 0.68 | 104.7 | 1.74 |
| DB | ტექსტილი და საფეიქრო ნაწარმი | 99.3 | -0.01 | 100.8 | 0.02 |
| DC | ტყავი და ნაწარმი ტყავისაგან | 100.0 | 0.00 | 115.4 | 0.04 |
| DD | მერქანი და მერქნის ნაწარმი | 100.3 | 0.01 | 96.0 | -0.23 |
| DE | ცელულოზა, ქაღალდი და ქაღალდის ნაწარმი; ინფორმაციის მატარებლები; პოლიგრაფიული მომსახურება | 101.4 | 0.04 | 103.3 | 0.11 |
| DF | კოქსი, ნავთობის გადამუშავების პროდუქტები და ბირთვული სათბობი | 101.7 | 0.01 | 132.7 | 0.18 |
| DG | ქიმიური ნივთიერებები, ქიმიური პროდუქტები და ქიმიური ბოჭკოები | 102.1 | 0.10 | 106.7 | 0.39 |
| DH | რეზინისა და პლასტმასის ნაწარმი | 104.4 | 0.15 | 111.8 | 0.37 |
| DI | სხვა არალითონის მინერალური ნაწარმი | 100.8 | 0.09 | 103.9 | 0.40 |
| DJ | ძირითადი ლითონები და ლითონის მზა ნაწარმი | 100.7 | 0.08 | 108.0 | 1.03 |
| DK | მანქანები და მოწყობილობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი | 100.6 | 0.00 | 101.2 | 0.01 |
| DL | ელექტრული და ოპტიკური მოწყობილობები | 100.1 | 0.00 | 94.2 | -0.05 |
| DM | სატრანსპორტო მოწყობილობები | 100.0 | 0.00 | 101.6 | 0.02 |
| DN | სხვა სამრეწველო საქონელი, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი | 102.4 | 0.04 | 105.2 | 0.09 |
| **E** | **ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი** | **100.8** | **0.12** | **113.1** | **1.75** |

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

## სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი

(წინა თვე = 100)




## სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი

(წინა წლის შესაბამისი თვე =100)



## სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი

(12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან)




საკონტაქტო პირი: გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge